არა ძალადობას! ძალა უფლებას!

ბულინგი როგორც ბავშვთა მიმართ ძალადობის აღმნიშვნელი ტერმინი.ეს თემა ჩვენთვის უკვე უცხო აღარაა. გვესმის ეს სიტყვა მაგრამ იმდენად არ გვაქვს გააზრებული და არ ვართ ამ თემაში გათვიცნობიერებული როგორც საჭიროა ანუ არ ვიცით ის სინამდვილეში ის რა უნდა ვიცოდეთ. ჩვენ ყველანი ღმერთის შვილები ვართ და არ გვაქვს იმის უფლება რომ ვინმე დავჩაგროთ და დავაბულინგოთ. ჩვენ უნდა ვეცადოთ რომ ხელი შევუშალოთ ძალადობის გავრცელებას. ქვეყანაში არ არსებობს სტატისტიკა თუ რამდენი მოსწავლე ვისი მხრიდან და რა ფორმით ხდება ძალადობის მსხვერპლი. ბულინგის მსხვერპლი ძირითადად ხდება ის ადამიანი რომელიც ძირითადად არიან ფსიქოლოგიურად და ფიზიკურად სუსტები.ვინც ძლიერია აბულინგებს სუსტ ადამიანს.

ძალადობა ძირითადად თანატოლებში ხდება მაგრამ არ გამოვრიცხავთ ისეთ შემთხვევებს როცა უფროსი ჩაგრავს მისზე პატარას . ბულინგი ერთი კონკრეტული მიზეზით არ ხდება ყოველთვის აზრთა სხვადასხვაობაა. ყოველთვის ვცდილობ გავეცნო ინფორმაციას ამ საკითხთან დაკავშირებით და ვიცოდე იმაზე მეტი რაც საჭიროა ჩემი ასაკის ბავშვისთვის რადაგან მივიღო მონაწილეობა და შევიტანო ჩემი წვლილი ბულინგთან დაკავშირებით იმ მიმართულებით რომ არ გავრცელდეს და საბოლოო ჯამში მოისპოს კიდეც .

ძალადობის მსხვერპლია 18 წლმადე მოზარდები რადგან ისინი ვერ აცნობიერებენ თუ რასთან აქვთ საქმე . მათი ფსიქოლოგია ჯერ არაა ბოლომდე ჩამოყალიბებული და იმ დროისთვის მისი საქციელი მართებულად მიაჩნია . ძალდობა შეიძლება მოხდეს ჩაცმულობის გამო , მატერიალური მდომარეობის , რასობრივი, სქესობრივი, ასაკობრივი და სხვა. სკოლაში ხშირია ძალადობის შემთხვევები შეიძლება არ აქვს ოჯახს იმის საშუალება რომ შვილს ისე ჩაცვას როგორც მის თანაკლასელებს აცვია ან უფრო უკეთესად ამის გამო ბავშვი ბულინგის მსხვერპლი არ უნდა გახდეს. სკოლასა და უნივერსიტეტში უნდა ტარდებოდეს ამ თემასთან დაკავშირებით ლექციები რადგან ჩვენ მოზარდებმა უნდა გავაცნობიეროთ რომ ეს კატეგორიულად არ შეიძლება.

მინდა ამ თემასთან დაკავშირებით ერთი მაგალითი მოვიყვანო. ერთ ოჯახს ძალიან უჭირდა დედა ავად იყო ბავშვების მამა კი რამოდენიმე წლის წინ გარდაიცვალა. ამ ოჯახში სამი ადამიანი ცხოვრობდა 6 წლის ანასტასია 12 წლის დათო და 33 წლის ქეთევანი. ქალბატონი ქეთევანი ყველაფერს აკეთებდა იმისთვის რომ ბავშვებს

ესწავლა და ყველაფერს აკეთებდა. ბოლო ამ ყველაფერმა ცუდად იმოქმედა ქალბატონ ქეთევანის ჯანმრთელობაზე დაუძლურდა ვეღარ მუშაობდა წამლის ფული აღარ ჰქონდა . დათო საკმაოდ დიდი იყო მის დასთან შედარებით ხედავდა ოჯახის მდგომარეობას და ძალიან შეწუხებული იყო . გათენდა ერთი მშვენიერი დღე ბავშვები სკოლაში მიდიოდნენ გზად დათომ განცხადება წაიკითხა და სჭირდებოდა შეშის მჭრელი კარზე დააკაკუნა დაელაპარაკა აუხსნა მდგომარეობა და მუშაობა დაიწყო სკოლიდან მოდიოდა შესაშ ჭრიდა და ღამეში სწავლობდა ერთი კვირის მერე დედისთვის წამლის საყიდლად აფთიაქსი გაეშურა და შესასვლელად დახდნენ თანატოლები სრულიად უცხოები დაუწყეს ცოტა ისეთი ლაპარაკი ფულის გამოძალვა ული გამოართვეს და ცემას უპირებდნენ ამ დროს იმ ბიჭების მეგობარმა ჩამოიარა ეს ბიჭი დათოს მეზობლად ცხოვრობდა და ასე თუ ისე იცოდა ამ ოჯახის შესახებ. აუხსნა ყველაფერ ამ ბიჭთან დაკავშირებით იმ ბიჭებმა დათოს ბოდიში მოუხადეს ფული დაუბრუნეს და კიდეც აჩუქეს. დათომ წამალი უყიდა დედას და სირბილით სახლისკენ გაეშურა. მეორე დღეს იმ სახლთან სადაც დათოს შეშა უნდა დაეწრა დახვდნენ ის ბიჭები რომლებიც გუშინ შეხვდნენ ესენი დასახმარებლად იყვნენ მოსული და კიდეც დაეხმარეს . ამ ამბის შემდეგ ყველგან სადაც ხედავდნენ ასეთ შემთხვევებს მიდოდნენ და უხსნიდნენ ყველაფერს ამ საკითხთან დაკავშირებით.

მაშასადამე ჩვენ ყველაფერი უნდა გავაკეთოთ რომ ბულინგის გავრცელებას ხელი შევუშალოთ